კონფიდენციალობის პოლიტიკა

როგორ ვიყენებთ თქვენს პერსონალურ ინფორმაციას
წინამდებარე კონფიდენციალობის პოლიტიკა აღწერს, თუ როგორ აგროვებს, ამუშავებს, ინახავს და იცავს თქვენს პერსონალურ მონაცემებს შპს „ქარავანი+“ (შემდგომში – „კომპანია“, „ჩვენ“ ან „ჩვენი“).

კომპანიის მონაცემები
საფირმო სახელწოდება: შპს „ქარავანი+“
სამართლებრივი ფორმა: შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება
საიდენტიფიკაციო ნომერი: 202191886
რეგისტრაციის ნომერი: 2/4-3078
რეგისტრაციის თარიღი: 11/03/2002
მარეგისტრირებელი ორგანო: დიდუბე-ჩუღურეთის რაიონული სასამართლო
იურიდიული მისამართი: საქართველო, თბილისი, დიდუბის რაიონი, გიორგი ტერევერკოს ქ. N30
ვებ.გვერდი: www.caravani.ge

ჩვენი ვალდებულება
ჩვენ ვზრუნავთ თქვენი პერსონალური მონაცემების უსაფრთხოებასა და კონფიდენციალურობაზე.
ჩვენ:

- არ გამოვიყენებთ თქვენს მონაცემებს კანონის საწინააღმდეგოდ;
- დავამუშავებთ მხოლოდ იმ მონაცემებს, რომლებიც აუცილებელია შესაბამისი მიზნისთვის;
- დავიცავთ თქვენს მონაცემებს არასანქცირებული წვდომისგან;
- თქვენი მოთხოვნის შემთხვევაში, მოგაწვდით ინფორმაციას თქვენი მონაცემების დამუშავების შესახებ საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ ვადებში.

სამართლებრივი საფუძველი
თქვენი პერსონალური მონაცემების დამუშავება ხორციელდება:

- თქვენი თანხმობის საფუძველზე;
- თქვენი მოთხოვნის შესრულების მიზნით;
- კომპანიის კანონიერი ინტერესების საფუძველზე;
- საქართველოს კანონმდებლობით დაკისრებული ვალდებულებების შესასრულებლად.

რა მონაცემებს ვაგროვებთ
ვებგვერდის გამოყენებისას შეიძლება შეგროვდეს შემდეგი ინფორმაცია:
საკონტაქტო ინფორმაცია

- სახელი და გვარი;
- ტელეფონის ნომერი;
- ელექტრონული ფოსტის მისამართი;
- თქვენ მიერ შეტყობინებაში ან საკონტაქტო ფორმაში მოწოდებული სხვა ინფორმაცია.

ტექნიკური ინფორმაცია

- IP მისამართი;
- მოწყობილობის ტიპი;
- ბრაუზერის ტიპი;
- ოპერაციული სისტემა;
- ვებგვერდზე ვიზიტის თარიღი და დრო;
- ვებგვერდზე განხორციელებული ქმედებების შესახებ სტატისტიკური ინფორმაცია.

როგორ ვიღებთ მონაცემებს
მონაცემებს ვიღებთ, როდესაც:

- გვიკავშირდებით ვებგვერდის საკონტაქტო ფორმის საშუალებით;
- გვიგზავნით ელექტრონულ წერილს;
- გვიკავშირდებით ტელეფონით;
- იყენებთ ჩვენს ვებგვერდს.
- ვებ.გვერდზე შეკვეთის განთავსებისა და ონლაინ შენაძენის განხორციელებისას.

Cookies (ქუქი-ფაილები)

ვებგვერდი შეიძლება იყენებდეს Cookies-ს, რათა:

- უზრუნველყოს საიტის გამართული ფუნქციონირება;
- გაუმჯობესოს მომხმარებლის გამოცდილება;
- მოამზადოს სტატისტიკური ანალიტიკა ვებგვერდის გამოყენების შესახებ.

მომხმარებელს შეუძლია ბრაუზერის პარამეტრების მეშვეობით შეზღუდოს ან გამორთოს Cookies.

რისთვის ვიყენებთ ინფორმაციას

თქვენი მონაცემები შეიძლება გამოყენებულ იქნეს:

- თქვენთან კომუნიკაციისთვის;
- თქვენს შეკითხვებზე პასუხის გასაცემად;
- მოთხოვნილი ინფორმაციის მოსაწოდებლად;
- ვებგვერდის მუშაობის გასაუმჯობესებლად;
- სტატისტიკური ანალიტიკისთვის;
- საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ვალდებულებების შესასრულებლად.
- ონლაინ შეკვეთების მიღების, დამუშავებისა და შესრულების მიზნით;
- პროდუქციის მიწოდებისა და მომხმარებელთან კომუნიკაციის უზრუნველსაყოფად.

ონლაინ გაყიდვები და გადახდების დამუშავება

ვებგვერდის მეშვეობით მომხმარებელს შეიძლება მიეცეს შესაძლებლობა შეიძინოს კომპანიის მიერ შეთავაზებული პროდუქცია ან მომსახურება ონლაინ რეჟიმში.

შეკვეთის გაფორმების პროცესში კომპანია შეიძლება ამუშავებდეს შემდეგ მონაცემებს:

- **სახელი და გვარი;**
- **პირადი ნომერი;**
- **დაბადების თარიღი ან/და ასაკთან დაკავშირებული ინფორმაცია;**
- **ტელეფონის ნომერი;**
- **ელექტრონული ფოსტის მისამართი;**
- **მიწოდების მისამართი;**
- **შეკვეთასთან დაკავშირებული ინფორმაცია.**

ელექტრონული გადახდები ხორციელდება ავტორიზებული საგადახდო მომსახურების პროვაიდერებისა და საბანკო დაწესებულებების უსაფრთხო სისტემების მეშვეობით. კომპანია არ ინახავს მომხმარებლის საბანკო ბარათის სრულ მონაცემებს (ბარათის ნომერი, CVV/CVC კოდი, PIN კოდი ან სხვა ავთენტიფიკაციის მონაცემები), გარდა იმ ინფორმაციისა, რომლის დამუშავებაც აუცილებელია ტრანზაქციის დადასტურების, შეკვეთის შესრულებისა და მომხმარებელთან კომუნიკაციის მიზნით.

მომხმარებლის პერსონალური მონაცემები და საგადახდო ოპერაციებთან დაკავშირებული ინფორმაცია მუშავდება მხოლოდ:

- შეკვეთის მიღებისა და შესრულების მიზნით;
- პროდუქციის ან მომსახურების მიწოდების უზრუნველსაყოფად;
- ანგარიშსწორებისა და ფინანსური აღრიცხვის მიზნით;
- თაღლითობის, უსაფრთხოების ინციდენტებისა და არამართლზომიერი ქმედებების პრევენციის მიზნით;
- საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ვალდებულებების შესასრულებლად.

კომპანია უზრუნველყოფს მომხმარებლის პერსონალური მონაცემებისა და ტრანზაქციებთან დაკავშირებული ინფორმაციის დამუშავებას მოქმედი კანონმდებლობისა და ინფორმაციული უსაფრთხოების შესაბამისი სტანდარტების დაცვით.

ასაკის გადამოწმება და იდენტიფიკაცია

ვებგვერდის საშუალებით პროდუქციის შეძენა შეუძლიათ მხოლოდ 18 (თვრამეტი) წლის ან მეტი ასაკის პირებს.

აღნიშნული მოთხოვნის შესრულებისა და მომხმარებლის იდენტიფიკაციის მიზნით, კომპანია უფლებამოსილია დაამუშაოს მომხმარებლის შემდეგი მონაცემები:

- სახელი და გვარი;
- პირადი ნომერი;
- დაბადების თარიღი;
- ტელეფონის ნომერი;
- ელექტრონული ფოსტის მისამართი;
- მიწოდების მისამართი;
- შეკვეთასთან დაკავშირებული ინფორმაცია.

აღნიშნული მონაცემების დამუშავება ხორციელდება:

- მომხმარებლის ასაკის გადამოწმების მიზნით;
- შეკვეთის კანონიერად განხორციელების უზრუნველსაყოფად;
- თაღლითობისა და არაუფლებამოსილი შესყიდვების პრევენციის მიზნით;
- საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული მოთხოვნების შესასრულებლად.

მომხმარებლის მიერ შეკვეთის განთავსებით დასტურდება, რომ იგი არის სრულწლოვანი და უფლებამოსილია შეიძინოს ვებგვერდზე განთავსებული პროდუქცია. კომპანია უფლებამოსილია, საჭიროების შემთხვევაში, მოითხოვოს დამატებითი ინფორმაციის ან საიდენტიფიკაციო დოკუმენტის წარმოდგენა ასაკისა და იდენტობის გადასამოწმებლად.

ვის შეიძლება გადაეცეს მონაცემები

- თქვენი მონაცემები შეიძლება გადაეცეს:
- სახელმწიფო ორგანოებს, თუ ამას მოითხოვს კანონი;
- ავტორიზებულ საგადახდო მომსახურების პროვაიდერებსა და საბანკო დაწესებულებებს, გადახდის ოპერაციების დამუშავების მიზნით;
- საკურიერო და სატრანსპორტო კომპანიებს პროდუქციის მიწოდების უზრუნველსაყოფად;
- კომპანიის ტექნიკურ, IT და ჰოსტინგ პარტნიორებს მხოლოდ იმ მოცულობით, რაც აუცილებელია მომსახურების გასაწევად;
- სხვა პირებს მხოლოდ თქვენი თანხმობით ან კანონით განსაზღვრულ შემთხვევებში.

თქვენი უფლებები

საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, თქვენ უფლება გაქვთ:

- მიიღოთ ინფორმაცია თქვენი მონაცემების დამუშავების შესახებ;
- მოითხოვოთ მონაცემების გასწორება, განახლება ან შევსება;
- მოითხოვოთ მონაცემების წაშლა ან განადგურება კანონით დაშვებულ შემთხვევებში;
- მოითხოვოთ მონაცემთა დამუშავების შეზღუდვა;
- გაიწვიოთ თანხმობა, თუ დამუშავება ეფუძნება თანხმობას;
- მიმართოთ პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურს.

მონაცემთა უსაფრთხოება

კომპანია იყენებს ორგანიზაციულ და ტექნიკურ ზომებს, რათა დაიცვას პერსონალური მონაცემები:

- არასანქცირებული წვდომისგან;
- შეცვლისგან;
- დაკარგვისგან;
- უკანონო გავრცელებისგან.

მონაცემების შენახვის ვადა

პერსონალური მონაცემები ინახება იმ ვადით, რაც აუცილებელია შესაბამისი მიზნების მისაღწევად და/ან საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ვალდებულებების შესასრულებლად, მათ შორის საგადასახადო, საბუღალტრო და მომხმარებელთა უფლებების დაცვის სფეროში არსებული მოთხოვნების შესაბამისად.

პოლიტიკის ცვლილება

კომპანია უფლებამოსილია ნებისმიერ დროს განაახლოს წინამდებარე კონფიდენციალობის პოლიტიკა. განახლებული ვერსია გამოქვეყნდება ვებგვერდზე და ძალაში შევა გამოქვეყნების მომენტიდან.

საკონტაქტო ინფორმაცია

კონფიდენციალობის პოლიტიკასთან ან პერსონალური მონაცემების დამუშავებასთან დაკავშირებული შეკითხვების შემთხვევაში დაგვიკავშირდით:

შპს „ქარავანი+“
მისამართი: საქართველო, თბილისი, დიდუბის რაიონი, ბათუმის ქ. 29ა.
ვებგვერდი: www.caravani.ge
ელ-ფოსტა: caravani@caravani.ge
ტელეფონი: +9953234464